

შპს ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი

ნარჩენების მართვის გეგმა

## შინაარსი

1. შესავალი ნაწილი.....	3
საქმიანობის დეტალური აღწერა:.....	3
2. აღწერილობითი ნაწილი .....	4
ნარჩენების აღწერილობა:.....	4
ცხრილი N1(ნარჩენების ნუსხა):.....	5
ცხრილი N2 (ნარჩენების ნუსხა კლასიფიკაციის მიხედვით):.....	6
3. დასკვნითი ნაწილი - ნარჩენების მართვა .....	8
3.1 ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები: .....	8
3.2 წარმოქმნილი ნარჩენის შეგროვების და ტრანსპორტირების მეთოდები: .....	9
3.3 სეპარირების მეთოდის აღწერა, განსაკუთრებით - სახიფათო ნარჩენების სხვა ნარჩენებისგან განცალკევების შესახებ:.....	11
3.4 წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდები და პირობები: .....	12
3.5 ნარჩენების დამუშავებისთვის გამოყენებული მეთოდები, დამუშავების ოპერაციის კოდის მითითებით – კოდექსის I და II დანართების მიხედვით: .....	12
ცხრილი N3 - ნარჩენების დამუშავების მეთოდები .....	13
3.6 სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო მართვისათვის ზომებისა და მომუშავე პერსონალის შესაბამისი სწავლების ღონისძიებები:.....	14
3.7 იმ პირის შესახებ ინფორმაცია, რომელსაც გადაეცემა ნარჩენები შეგროვების, ტრანსპორტირების ან/და დამუშავების მიზნით, შესაბამისი ნებართვის ან/და რეგისტრაციის მონაცემების მითითებით:.....	15
4. ნარჩენების მართვის გეგმის ხანგრძლივობა .....	15
5. გეგმის განხილვა და შეთანხმების პროცესი .....	15

## 1. შესავალი ნაწილი

### ინფორმაცია ნარჩენების წარმოქმნელის შესახებ

კომპანია: შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ ( ს/კ 404997232; 18/06/2013)  
(დასახელება, რეგისტრაციის ნომერი; სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი)

წარმომადგენელი: გიორგი აბრამიშვილი, დირექტორი; ტელ: +995 599 51 59 45 ელ.  
ფოსტა: [giorgi@agd.com.ge](mailto:giorgi@agd.com.ge)

*(სახელი, პოზიცია, საკონტაქტო ინფორმაცია)*

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ს.  
ეულის ქ., №5, /ჯიქიას ქ., №10, ბინა 37 ტელ: +995 599 51 59 45 ელ. ფოსტა:  
[giorgi@agd.com.ge](mailto:giorgi@agd.com.ge)

*(რეგიონი, მუნიციპალიტეტი, ქალაქი, ქუჩა, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა)*

ნარჩენების წარმოქმნის ადგილმდებარეობა: მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფელი  
ჭუბერი, ტელ: +995 593 50 60 56 ელ. ფოსტა: [david@agd.com.ge](mailto:david@agd.com.ge)

*(რეგიონი, მუნიციპალიტეტი, ქალაქი, ქუჩა, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა)*

### საკონტაქტო პირი ნარჩენების წარმოქმნის ობიექტზე

დავით კობერიძე, გარემოსდაცვითი მმართველი; ელ. ფოსტა: [david@agd.com.ge](mailto:david@agd.com.ge); ტელ:  
+995 593 50 60 56

### საქმიანობის დეტალური აღწერა:

წინამდებარე ნარჩენების მართვის გეგმა ადგენს ლახამი 1&2 ჰესების ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, განთავსების, გაუვნებლობისა და უტილიზაციის წესებს, გარემოსდაცვითი, სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ნორმების და წესების მოთხოვნების დაცვით.

## 2. აღწერილობითი ნაწილი

### ნარჩენების აღწერილობა:

საწარმოს ტერიტორიაზე მოსალოდნელია შემდეგი სახის ნარჩენების წარმოქმნა:

- ✓ სახიფათო ნარჩენები;
- ✓ საყოფაცხოვრებო ნარჩენები;

### სახიფათო ნარჩენები:

საწარმოს ფუნქციონირებისას მოსალოდნელია:

- საწარმოს ექსპლოატაციის დროს არსებობს შესაძლებლობა, რომ ნავთობპროდუქტებით დაბინძურდეს გრუნტი, ხრეში, სხვადასხვა მასალები, რომლებიც შეგროვდება შესაბამის კონტეინერებში და დროებით განთავსდება სახიფათო ნარჩენების საწყობში უტილიზაციისათვის შესამაბის კონტრაქტორზე გადაცემამდე;
- ავტოტრანსპორტის და ტექნიკის ზეთის შეცვლისას წარმოქმნილი ნამუშევარი ზეთების წარმოქმნა; შესამაბისი ნებართვის ორგანიზაციაზე გადაცემამდე (ან გაწმენდა მეორადი გამოყენებამდე) მოხდება ნამუშევარი ზეთების განთავსება ლითონის კასრებში და შეინახება საწყობში;
- ზეთის ფილტრები, რომლებიც შეგროვდება სპეციალურ კონტეინერში და გადამუშავება-რეგენერაციისათვის გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას;
- ნავთობპროდუქტების დაბინძურებული საწმენდი მასალები, ხელთათმანები, ჩვრები დროებით დასაწყობდება შესაბამის კონტეინერებში სახიფათო ნარჩენების საწყობში შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციაზე გადაცემამდე;
- ვადაგასული და მწყობრიდან გამოსული აკუმულატორები შეგროვდება პოლიეთილენის კონტეინერში შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციაზე გადაცემამდე სახიფათო ნარჩენების საწყობში;
- პრინტერის ტონერი, ლაზერული კარტრიჯები (დაუბრუნდება მომწოდებელს ხელახლა გამართვისათვის/განადგურებისათვის);

### საყოფაცხოვრებო ნარჩენები:

საყოფაცხოვრებო და საკვების ნარჩენები, განთავსდება ტერიტორიაზე დადგმულ საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერებში და პერიოდულად იქნება გატანილი მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის მიერ.

საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების კოდი და დასახელება „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ მთავრობის დადგენილების შესაბამისად:

### ცხრილი N1(ნარჩენების ნუსხა):

ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება
08 03 17*	პრინტერის ტონერი/მელანის ნარჩენები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს
13 02 05*	ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის მინერალური არაქლორირებული ზეთები და არაქლორირებული ზეთოვანი ლობრიკანტები
15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი
16 01 07*	ზეთის ფილტრები
16 06 01*	ტყვის შემცველი ბატარეები
16 06 05	სხვა ბატარეები და აკუმულატორები
16 07 08	ნავთობის შემცველი ნარჩენები
16 10 01*	წყლის თხევადი ნარჩენები, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს
17 05 03*	ნიადაგი და ქვები, რომლებიც შეიცავს საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს
20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები

სახიფათო ნარჩენის განმსაზღვრელი მახასიათებელი, „ნარჩენების მართვის კოდექსის“ III დანართის შესაბამისად.  
სახიფათო ნარჩენებს მითითებული აქვს სახიფათოობის განმსაზღვრელი შესაბამისი კოდი.

**ცხრილი N2 (ნარჩენების ნუსხა კლასიფიკაციის მიხედვით):**

ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო	სახიფათოობის მახასიათებელი	ფიზიკური მდგომარეობა	რაოდენობა წლების მიხედვით (კგ/მ <sup>3</sup> /ლ)		
					2022	2023	2024
08 03 17*	პრინტერის ტონერი/მელანის ნარჩენები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს	დიახ	H 6	მყარი	0.1კგ	0.1კგ	0.1კგ
13 02 05*	ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის მინერალური არაქლორირებული ზეთები და არაქლორირებული ზეთოვანი ლუბრიკანტები	დიახ	H 5; H 14	თხევადი	0,5ლ	0,5ლ	0,5ლ
15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც დაბინძურებულია საშიში ქიმიური ნივთიერებებით	დიახ	H 3-B ; H 5	მყარი	1კგ	1კგ	1კგ
16 01 07*	ზეთის ფილტრები	დიახ	H 5; H 14	მყარი/თხევადი	0.2 კგ	0,2 კგ	0.2 კგ
16 06 01*	ტყვის შემცველი ბატარეები	დიახ	H 6; H 15	მყარი	0.1კგ	0,1კგ	0.1კგ
16 06 05	სხვა ბატარეები და აკუმულატორები	არა	-	მყარი	0.1კგ	0.1კგ	0.1კგ

16 07 08*	ნავთობის შემცველი ნარჩენები	დიახ	H 14, H 5	მყარი/ თხევადი	2კგ	2კგ	2კგ
16 10 01*	წყლის თხევადი ნარჩენები, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს	დიახ	H 14, H 5, H 8	თხევადი	1ლ	1ლ	1ლ
17 05 03*	ნიადაგი და ქვები, რომლებიც შეიცავს საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს	დიახ	H 14, H 5	მყარი	0,2მ <sup>3</sup>	0,2მ <sup>3</sup>	0,2მ <sup>3</sup>
20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	არა	-	მყარი/ თხევადი	2.5 ტ	2.5 ტ	2.5 ტ

### **3. დასკვნითი ნაწილი - ნარჩენების მართვა**

#### **3.1 ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები:**

საწარმოს საქმიანობის პროცესში გათვალისწინებული იქნება ნარჩენების პრევენციის და აღდგენის შემდეგი სახის ღონისძიებები:

- ნებისმიერი სახის სამშენებლო მასალა, ნივთები ან ნივთიერება ობიექტის ტერიტორიაზე შემოტანილი იქნება იმ რაოდენობით, რაც საჭიროა სამშენებლო სამუშაოების/ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის. ტერიტორიებზე მასალების ხანგრძლივი დროით დასაწყობება არ მოხდება;
- უპირატესობა მიენიჭება ხელმეორედ გამოყენებად ან გადამუშავებად, ბიოლოგიურად დეგრადირებად ან გარემოსათვის უვნებლად დაშლად ნივთიერებებს, მასალებს და ქიმიურ ნაერთებს;
- ლაზერული პრინტერების ნამუშევარი კარტრიჯები განთავსდება კარგად შეკრულ პოლიეთილენის პარკებში და გატანილი იქნება დროებითი შენახვის უბანზე და შემდგომ დაუბრუნდება მომწოდებელს;
- დაბინძურებული ნიადაგი და გრუნტი დასაწყობდება წარმოქმნის ადგილის სიახლოვეს, მყარი საფარის მქონე გადახურულ მოედანზე;

#### **აიკრძალება:**

- მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში სახიფათო ნარჩენების მოთავსება;
- თხევადი სახიფათო ნარჩენების შეგროვება და დასაწყობება ღია, ატმოსფერული ნალექებისგან დაუცველ ტერიტორიაზე;
- რეზინის ან სხვა ნარჩენების დაწვა;
- ზეთების, საპოხი მასალების, ელექტროლიტის გადაღვრა მდინარეში ან კანალიზაციის სისტემებში ჩაშვება;
- აკუმულატორებზე, კარტრიჯებზე მექანიკური ზემოქმედება.



### 3.2 წარმოქმნილი ნარჩენის შეგროვების და ტრანსპორტირების მეთოდები:

**ნარჩენების შეგროვების მეთოდი:** საწარმოში ნარჩენების შეგროვება მოხდება კონტეინერული სისტემის გამოყენებით. უზრუნველყოფილი იქნება სახიფათო, არასახიფათო და ინერტული ნარჩენების შეგროვება ცალ-ცალკე კატეგორიების მიხედვით, შემდგომში მათი სპეციფიკური დამუშავების გაიოლების მიზნით.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა - სახიფათო ნარჩენების სხვა ნარჩენებისგან განცალკევებას. მოხდება ნარჩენების კლასიფიკაცია, ინვენტარიზაცია, იარღიყების დამაგრება. ნარჩენების სეპარაცია და კონტეინერებში განთავსება.

- სპეციალური კონტეინერები განლგებული იქნება ნარჩენების წარმოქმნის უბანთან ახლოს.

- ნაგვის კონტეინერების დაცლა (საწყობში გადატანა) მოხდება საჭიროებიდან (ერთხელ მაინც - სახიფათო ნარჩენები, საყოფაცხოვრებო ნარჩენები- კვირაში ორჯერ).

- სანამ მოხდება ნარჩენების დამუშავების, განთავსების ან/და აღდგენის ადგილზე გატანა ნარჩენები შეინახება ისე, რომ გამოირიცხოს: შემთხვევითი გაჟონვა ან დაღვრა, მიწის ან მიწისქვეშა წყლების დაზინძურება, კონტეინერების გატეხვა შემთხვევითი შეჯახების შედეგად, ჰაერთან კონტაქტი მეორადი შეფუთვის და/ან თავსახურების გამოყენებით; კონტეინერების კოროზია ან ცვეთა, როგორც გარემოს, ისე თვითონ ნარჩენების მიერ, საამისოდ შეირჩევა კონკრეტული ნარჩენების მიმართ გამძლე კონტეინერები (მაგალითად, ავტომობილის აკუმულატორები კოროზიის გამძლე პოლიეთილენის თევშებზე ან ჯამზე დაიდგმება); სახიფათო ნარჩენები განთავსდება სახიფათო ნარჩენების საწყობში, სადაც გამოირიცხება ნარჩენებთან უცხო პირების კონტაქტი (ქურდობა; ცხოველებთან კონტაქტი.)

- ნარჩენების კონტეინერები შესამაბისი იქნება შესანახი ნარჩენების ზომისა, ფორმისა, შემადგენლობისა და ხიფათის შემცველობისა. გამოყენებული იქნება მხოლოდ კარგ მდგომარეობაში მყოფი კონტეინერები, რომელთაც თავსახურები დაეხურებათ. გათვალისწინებული იქნება კონტეინერის შიგ განსათავსებელი ნარჩენის შესაბამისობა, რომ არ მოხდეს ნარჩენისა და კონტეინერის ერთმანეთთან რეაგირება ან მოხდეს ნარჩენის გამოჟონვა.

- ყველა სახის სახიფათო ნარჩენი მკაცრად იქნება სეპარირებული დანარჩენი ნარჩენებისაგან. ერთ კონტეინერში განთავსდება მხოლოდ ერთი სახის სახიფათო ნარჩენები. მყარი და თხევადი ნარჩენები ერთამენტს არ შეერევა.

## წარმოქმნილი ნარჩენების ტრანსპორტირების მეთოდები:

### არა-სახიფათო:

- არა-სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირება ხორციელდება ნარჩენების ტრანსპორტირების მოქმედი წესების სრული დაცვით.
- ნარჩენების ჩატვირთვა სატრანსპორტო საშუალებებში მოხდება მათი ძარების ტევადობის შესაბამისად;
- ნარჩენების ჩატვირთვა/გადმოტვირთვა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია მაქსიმალურად იქნება მექანიზირებული და ჰერმეტიკული;
- დაუშვებელია ნარჩენების დაკარგვა და გაფანტვა ტრანსპორტირების დროს;
- ნარჩენების გადასატანად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალება შესაბამისობაში იქნება საქართველოს რეგულაციების.

### სახიფათო

- ტრანსპორტირების დროს, თანმხლებ პირს ექნება შესაბამისი დოკუმენტი – „სახიფათო ნარჩენის გატანის მოთხოვნა“, რომელიც დამოწმებული იქნება ხელმძღვანელობის მიერ.
- ნარჩენების ტრანსპორტირება ხორციელდება შესაბამისი ლიცენზიის მქონე კომპანიის მიერ, ნარჩენების ტრანსპორტირების მოქმედი წესების სრული დაცვით:
- ნარჩენების ჩატვირთვა/გადმოტვირთვა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია მაქსიმალურად იქნება მექანიზირებული და ჰერმეტიკული;
- ნარჩენების ჩატვირთვა სატრანსპორტო საშუალებებში მოხდება მათი ძარების ტევადობის შესაბამისად;
- დაუშვებელია ნარჩენების დაკარგვა და გაფანტვა ტრანსპორტირების დროს;
- ნარჩენების გადასატანად გამოყენებულ სატრანსპორტო საშუალება შესაბამისობაში იქნება საქართველოს რეგულაციების.

### 3.3 სეპარირების მეთოდის აღწერა, განსაკუთრებით - სახიფათო ნარჩენების სხვა ნარჩენებისგან განცალკევების შესახებ:

ნარჩენების სეპარაცია მოხდება ობიექტზე პერსონალის მიერ. ნარჩენების განთავსების უბნები მოეწყობა იმ ადგილის გარშემო, სადაც მოხდება ნარჩენების სეპარაცია:

- სახიფათო ნარჩენების სეპარაცია:
  - შეიცავს ზეთებს, საღებავის ნარჩენებს და გამხნელებს, ზეთებს და საპოხ მასალებს, სხვა.
  - სახიფათო ნარჩენები ცალცალკე შეგროვდება დახურულ პოლიეთილენის ან ლითონის კონტეინერებში და გატანილი იქნება დროებითი შენახვის უბანზე;

გარდა ამისა, ყველა სამშენებლო მოედანზე დაიდგმება სამი განსხვავებული ფერის და მარკის მქონე პოლიეთილენის კონტეინერები, ნაკლები მოცულობის მასალის შესაგროვებლად, როგორცაა:

- პოლიეთილენი
- ქალაღდი/მუყაო
- საყოფაცხოვრებო ნარჩენები

აგრეთვე მოხდება შემდეგი დამატებითი ნარჩენების სეპარაცია:

- ლაზერული პრინტერების ნამუშევარი კარტრიჯები განთავსდება კარგად შეკრულ პოლიეთილენის პარკებში და გატანილი იქნება დროებითი შენახვის უბანზე;

სეგრეგაციის ტეროტორია გადახურული იქნება სახურავით, რომელსაც სამი მხრიდან ექნება კედლები და ბეტონის იატაკი. ტერიტორიაზე იქნება ნარჩენი სითხის შესაგროვებელი ადგილი.

აკრძალულია:

- მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში სახიფათო ნარჩენების მოთავსება;
- თხევადი სახიფათო ნარჩენების შეგროვება და დასაწყობება ღია, ატმოსფერული ნალექებისგან დაუცველ ტერიტორიაზე;

- რეზინის ან სხვა ნარჩენების დაწვა სამივე მოედანზე;
- ზეთების, საპოხი მასალების, ელექტროლიტის გადაღვრა მდინარეში ან კანალიზაციის სისტემებში ჩაშვება;
- აკუმულატორებზე, კარტრიჯებზე მექანიკური ზემოქმედება;

### 3.4 წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდები და პირობები:

საქმიანობის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი დასაწყობების უზნებისთვის გათვალისწინებული იქნება შემდეგი პირობების დაცვა:

- ✓ ექსპლუატაციის ეტაპზე სახიფათო ნარჩენების განთავსებისთვის მოეწყობა ბეტონის იატაკის მქონე გადახურული მოედანი (კონტეინერული ტიპის), შემდეგი მოთხოვნების დაცვით:
  - მოედანს ექნება სათანადო აღნიშვნა და დაცული იქნება ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისა და უცხო პირების ხელყოფისაგან;
  - სათავსის სახურავი მოეწყობა წყალგაუმტარი მასალით;
  - ნარჩენები განთავსდება კონტეინერებში, რომელსაც ექნება სათანადო მარკირება.
- ✓ დაბინძურებული ნიადაგის დასაწყობება და გადაფარვა მოხდება შემოსაზღვრულ მოედანზე, მისი, როგორც სახიფათო ნარჩენების გატანამდე.
- ✓ არა-სახიფათო ნარჩენების (პოლიეთილენის, ქალაქდი/მუყაო, ა.შ.) დასაწყობება მოხდება შემდეგნაირად:
  - ნარჩენები დაცული იქნება ქარის ზემოქმედებისგან, რომ არ მოხდეს მისი გაფანტვა მოედნიდან.

### 3.5 ნარჩენების დამუშავებისთვის გამოყენებული მეთოდები, დამუშავების ოპერაციის კოდის მითითებით – კოდექსის I და II დანართების მიხედვით:

სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების დამუშავებისთვის კომპანიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შესაბამისი ნარჩენების დამუშავების ლიცენზიის მქონე კერძო თუ საჯარო იურიდიულ პირებთან. ნარჩენების გადაცემა ამ ორგანიზაციებისთვის

ხდება საქართველოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მითითებების თანახმად. ცხრილი N3-ში მითითებულია ნარჩენების აღდგენა/განთავსებისთვის გამოყენებული ოპერაციები და ყველა იმ იურიდიულ პირთა სახელწოდებები, რომელთაც გადაეცემათ ნარჩენები შემდგომი დამუშავებისთვის:

**ცხრილი N3 - ნარჩენების დამუშავების მეთოდები**

ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	აღდგენა/განთავსების ოპერაცია	კომპანია, რომელსაც გადაეცემა ნარჩენები
08 03 17*	პრინტერის ტონერი/მელანის ნარჩენები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს	D 10	შპს „სანიტარი“
13 02 05*	ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის მინერალური არაქლორირებული ზეთები და არაქლორირებული ზეთოვანი ლუბრიკანტები	R9	შპს „სანიტარი“
15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც დაბინძურებულია საშიში ქიმიური ნივთიერებებით	D 10	შპს „სანიტარი“
16 01 07*	ზეთის ფილტრები	D 10	შპს „სანიტარი“
16 06 01*	ტყვის შემცველი ბატარეები	R13	შპს „სანიტარი“
16 06 05	სხვა ბატარეები და აკუმულატორები	R13	შპს „სანიტარი“
16 07 08	ნავთობის შემცველი ნარჩენები	D 10	შპს „სანიტარი“
16 10 01*	წყლის თხევადი ნარჩენები, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს	D 10	შპს „სანიტარი“
17 05 03*	ნიადაგი და ქვები, რომლებიც შეიცავს საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს	D8	შპს „სანიტარი“
20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	D1	ააიპ „მესტიის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“

წინამდებარე ცხრილში გამოყენებული R და D კოდები წარმოადგენენ შემდეგ ინფორმაციას:

R 13 R1-დან R12-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ნებისმიერი ოპერაციისთვის

განკუთვნილი ნარჩენების დასაწყობება (ეს არ მოიცავს ნარჩენების წარმოქმნის ადგილზე დროებით დასაწყობებას, შეგროვებისთვის მომზადებას)

*D1 - მიწაში ან მიწაზე განთავსება (მაგ., ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსება და სხვ.)*

*D10 - მიწაზე ინსინერაცია*

### **3.6 სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო მართვისათვის ზომებისა და მომუშავე პერსონალის შესაბამისი სწავლების ღონისძიებები:**

- პერსონალს, რომელიც დაკავებულია ნარჩენების მართვის სფეროში (შეგროვება, შენახვა, ტრანსპორტირება, მიღება/ჩაბარება) გავლილი ექნება შესაბამისი სწავლება შრომის დაცვის და პროფესიული უსაფრთხოების საკითხებში;
- პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სპეცტანსაცმლით, ფეხსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. საჭიროების შემთხვევაში პერსონალის ტანსაცმელი ექვემდებარება სპეციალურ დამუშავებას, განსაკუთრებით სახიფათო ნარჩენებთან დაკავშირებულ ოპერაციების შესრულების შემდეგ;
- სამუშაოზე არ დაიშვება პირი, რომელსაც არ აქვს გავლილი შესაბამისი მომზადება, არა აქვს სპეცტანსაცმელი, ასევე ავადმყოფობის ნიშნების არსებობის შემთხვევაში;
- ნარჩენების შეგროვების ადგილზე დაუშვებელია დადგენილ ნორმაზე მეტი რაოდენობის ნარჩენების განთავსება. დაუშვებელია ნარჩენების განთავსება ნაპერწკალ- და სითბო წარმომქმნელ წყაროებთან ახლოს;
- ნარჩენების რამდენიმე სახის ერთად განთავსების დროს გათვალისწინებული იქნება მათი შეთავსებადობა;
- ნარჩენების დაგროვების ადგილებში დაუშვებელია უცხო საგნების, პირადი ტანსაცმლის, სპეცტანსაცმლის, ინდ. დაცვის საშუალებების შენახვა, ასევე სასტიკად იკრძალება საკვების მიღება;
- ნარჩენებთან მუშაობის დროს საჭიროა პირადი ჰიგიენის წესების მკაცრი დაცვა, მუშაობის დასრულების შემდეგ აუცილებელია ხელების დაბანვა;
- მოწამვლის ნიშნების შემთხვევაში, სამუშაო უნდა შეწყდეს და პირმა უნდა

მიმართოს უახლოეს სამედიცინო პუნქტს და შეატყობინოს ამ შემთხვევაზე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობას.

- ხანძარსახიფათო ნარჩენების შეგროვების ადგილები იქნება ხანძარქრობის საშუალებებით. ამ სახის ნარჩენების განთავსების ადგილებში სასტიკად იკრძალება მოწევა და ღია ცეცხლით სარგებლობა;
- პერსონალმა უნდა იცოდეს ნარჩენების თვისებები და ხანძარქრობის წესები. ცეცხლმოკიდებული ადვილად აალებადი ან საწვავი სითხეების ჩაქრობა შესაძლებელია ცეცხლსაქრობის, ქვიშის ან აზბესტის ქსოვილის საშუალებით;
- ცეცხლმოკიდებული გამხსნელების ჩაქრობა წყლით დაუშვებელია.

**3.7 იმ პირის შესახებ ინფორმაცია, რომელსაც გადაეცემა ნარჩენები შეგროვების, ტრანსპორტირების ან/და დამუშავების მიზნით, შესაბამისი ნებართვის ან/და რეგისტრაციის მონაცემების მითითებით:**

**შპს სანიტარი-** საქმიანობის მიზანი- საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო, ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა. საიდენტიფიკაციო კოდი - 204927240

**ა(ა)იპ „მესტიის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“** საქმიანობის მიზანი - არა-სახიფათო ნარჩენების გატანა ტრანსპორტირების და მისი საბოლოო განთავსების ადგილას მიტანაზე.

*ხელშეკრულება თანდართულია*

**4. ნარჩენების მართვის გეგმის ხანგრძლივობა**

მოცემული დოკუმენტი დამზადებულია 3 წლის ვადით.

პროექტის განხორციელების ვადებია 2022 წლის იანვრიდან 2024 წლის იანვრამდე .

მოცემულ დოკუმენტში მითითებული ნარჩენების რაოდენობის შეცვლის ან/და სხვა სახეობის ნარჩენის გაჩენის შემთხვევაში მოხდება ნარჩენების მართვის გეგმის განახლება.

მომდევნო წლებისთვის მოხდება დოკუმენტის განახლება და გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ხელახლა ჩაბარება.

**5. გეგმის განხილვა და შეთანხმების პროცესი**

გეგმის განხილვისა და შეთანხმების პროცესში გთხოვთ დაგკავშირდეთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ს. ეულის ქ., №5, /ჯიქიას ქ., №10, ბინა 37

საკონტაქტო პირი: დავით კობერიძე

პოზიცია: გარემოსდაცვითი მმართველი;

ელ. ფოსტა: david@agd.com.ge

ტელ: +995 593 50 60 56